ვინ დაამთავრებს შეტევებს?

რუსთავი „მეტალურგიის“ სტადიონი. 27 თებერვალი.

ასკ (ოდესა) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

ასკ. გრიშკოვი, შვედიუკი, კოლბასიუკი, მანზიიჩუკი, ზახაროვი, აპუსტინი, გორბაჩი, პრიგორკო, პეტროვი (ნემიროვსკი), სარიგინი, ნაიდა.

„დინამო“: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, დათუნაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ხართიშვილი (ილიადი), ბარქაია, ნოდია, მესხი.

მსაჯი ი. პონომაროვი (კიშინიოვი).

მართალია, „სოვეტსკის სპორტის“ პრიზის გათამაშების პრინციპულ იდეას წარმოადგენს არა ქულების დაგროვება, არამედ წინასასეზონო სამზადისი, ახალ მოთამაშეთა გასინჯვა, კოლექტივის შეთამაშება და, საექსპერიმენტო ძიებანი, მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ 3 მატჩში 5 ქულის დაკარგვა და მინიმალური აქტივი მხოლოდ 1 ქულა, მთლად სახარბიელო ამბავი არაა.

ისეთი დანაკლისი, როგორიც თბილისის „დინამოს“ გააჩნია, ახლა არა აქვს არავის. „დინამოს“ აკლია პირველი და ოლიმპიური გუნდების წევრები: ურუშაძე. ხურცილავა, შერგელაშვილი, გ. სიჭინავა, მეტრეველი, ხუციშვილი, არაა ცხოვრებოვიც. ასეთ პირობებში უნდა ვილაპარაკოთ დინამოელთა კოლექტივის ხელახალ დაკომპლექტებაზე, თითქმის ახალი გუნდის შექმნაზე, ეს კი ძნელი, ძალზედ ძნელი საქმეა.

და მაინც თბილისელებმა უკეთ უნდა ითამაშონ, ვიდრე ეს გუშინ იყო, ოდესის არმიელებთან მატჩში ბარქაია კვლავ წინა ხაზზე იქნა გადაყვანილი და სამოქმედო გეგმას წმინდა ბრაზილიური სისტემის სახე მიეცა (4–2–4). საერთო უპირატესობა უდავოდ „დინამოს“ მხარეს იყო, არმიელთა კარიც საკმაოდ იმყოფებოდა ხიფათის წინაშე, მაგრამ შეტევის დამამთავრებელი არ ჩანდა არც ფლანგებიდან დაწყებული იერიშისას, არც ცენტრში, არაზუსტად ურტყამდნენ კარში ნახევარ მცველებიც, როცა მათ საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ.

დინამოელებს გოლის გატანის რამოდენიმე კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ მეორე ტაიმის 15 წუთის მანძილზე, არმიელები კი ყველა ხიფათს იოლად გადაურჩნენ, შემდეგ სწორედ მე–15 წუთზე, ნემიროვსკი სწრაფად გავიდა „დინამოს“ დაცვის ცენტრის ზონაში და ბურთიც გაიტანა – 1:0.

ამ გოლის გაქვითვისათვის იბრძოდნენ დინამოელები, დარჩენილი დროის მანძილზე, მაგრამ საპასუხო ბურთის ავტორი ვერა და ვერ გამოჩნდა. თბილისის „დინამომ“ ისევ დამარცხებულმა დატოვა მინდორი – 0:1.

რ. ქორიძე
“ლელო” 28.II.67 წ.